XIX – XX საუკუნეების ქართულ პერიოდულ პრესაში ჭანეთ - ლაზეთის შესახებ

თანდილავა იაშა
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია

აბსტრაქტი. *ნაშრომში საუბარია XIX-XX საუკუნეების ქართულ პერიოდულ პრესაში ჭანეთ-ლაზეთის შესახებ. საუბარია აგრეთვე ჭანურ-ლაზური ეთნოკულტურაზე, მათ წუხილზე ერთიანი ქართული კულტურის წიაღიდან მათი ტკივილიანი დაშორიშორებით გამოწვეული მდგომარეობის გამოძახილი. აქვეა ვატიკანში დაცული „საეკლესიო ანალების“-ფურცლებზე პონტოს ზღვასთან მდებარე კოლხიდად წოდებული ხალხის ქრისტეს სჯულის მიღების ზუსტი ფაქტები. და სხვა. ასევე მოცემულია კაცობრიობის არსებობის პერიოდებში წინარე ქართველური იბერო-კოლხური გენოტიპის დასაბამიდან გარკვეული პერიოდამდე მათი უტყუარი არსებობის დასტური.*

ლაზები, ჭანები... ძველ ხალიბთა და კოლხთა მრავალრიცხოვანი ჯიშიერი შთამომავლობა, რომელთა ნიჭი და შემართება, მცირე გამონაკლისის გარდა, აღარ ხმარდება ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და განმტკიცებას. მეტიც დღეის მდგომარეობით, რეალური ლოგიკიდან და სიტუაციიდან გამომდინარე, თითქმის არც იხსენიება. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდის მართლზომიერი გადაწყვეტილებით არსებობს და ფუნქციონირებს ,,ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია“, რომლის დაფუძნებაშიც უდიდესი როლი აქვს უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს. ამ სიტყვების ავტორს ჰქონდა ის ბედნიერება, რომ ამ საშვილიშვილო იდეის განხორციელებაში მცირედი როლი ჰქონოდა. მოგეხსენებათ, დღევანდელი,, საქართველოს რესპუბლიკის'' ადმინისტრაციულ დანაყოფთა დასახელებაში ლაზეთი არ მოიხსენიება, რადგან იმ ტერიტორიებზე სხვა პოლიტიკური სიცხადეა.

როგორც ცნობილია, ოსმალთა იმპერიის ფარგლებში მოქცეული ლაზები იმთავითვე იდეოლოგიური ზეწოლისა და ასიმილატორული პოლიტიკის წნეხის ქვეშ მოექცნენ. ლაზთა დიდმა ნაწილმა მამაპაპისეული რელიგია დატოვა და ისლამზე გადავიდა. არც ის არის საიდუმლო, რომ იყო და არის ცდები მაჰმადიან ლაზებთან მიმართებაში საერთოდ ამოვარდეს ხმარებიდან ეთნონიმი „ლაზი“ და „ჭანი“.

ეროვნული თვალსაზრისით უკეთესი ხვედრი არც ქრისტიანობა შენარჩუნებულ ლაზებს ხვდათ წილად. 1476 წელს მეჰმედ II-ის მიერ გამოცემული „კანუნ-ნამეს“ მიხედვით, ოსმალთა იმპერიაში მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი მოინათლა ბერძნად და დაუმორჩილდა კონსტანტინეპოლის ბერძენ პატრიარქს. მართლმადიდებლობაში დარჩენილ ლაზებს ბერძნები დაერქვათ. ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა მაღალ დონეზე იდგა და დღესაც დგას ნებისმიერი სისტემის (მეფის, საბჭოთა, ფედერაციული) რუსეთშიც ყოველთვის იყო და არის მცდელობა ქართველი ერის კუთხეებად გათიშვისა და ისეთი ილუზიის შექმნისა, რომ ლაზები, მეგრელები, სვანები, ინგილოები, მესხები, აჭარლები, თუშ-ფშავ-ხევსურები და სხვა ქართული კუთხეთა წარმომადგენლები ქართველები კი არა, დამოუკიდებელი ხალხებია და ქართველები ტყუილად იჩემებენ მათს ქართველობას.

დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში არც თუ ისე ხშირად, მაგრამ არა მცირედ კვლავ აქტუალურია ლაზების თემა, თუმცა იგი უფრო ენათმეცნიერების საკითხებს ეხება. ჩვენი მოხსენების ძირითადი მხარე ეხება არა დღევანდელს, არამედ გასულ საუკუნეთა დიდი ქართველი მამულიშვილების ღვაწლსა და წუხილს, ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები პრობლემების მაშინდელ მდგომარეობას, და მაშინ ნათლად ჩანს რა ხანგრძლივი და დაუსრულებელი ბრძოლების წნეხში გაუვლია ჩვენს დედა სამშობლოს.

ლაზეთის საკითხი XIX-XX საუკუნეების ქართულ პრესაში: პეტრე უმიკაშვილი აზრით, „ლაზების ყოველ-დღიური საქმიანობის უმთავრეს საშუალებად და მატერიალური შემოსავლის ძირითად წყაროდ ნაოსნობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის დამკვიდრება, არსებითად განაპირობა ლაზეთის რთულმა რელიეფმა და სავარგული მიწების უდიდესმა ნაკლებობამ. ამის გამო ,,ჭანი ზღვას შვილად გახდომია ,თავისი ბედი მისთვის მიუნდვია ძველის დროის ფინიკიელსავითა და ვაჭრობს... უმეტესი ნაწილი მცხოვრებთა უცხო ქვეყნებში დადის. ამ სიარულმა ერთის მხრით საკვირველად დააახლოვა (ნავ-სანდლების (ფელუკებით ი.თ.) ხომალდების ტარებაში და შავ ზღვაზე პირველი მეხომალდენი გახადა.

ადგილის ვიწროებამ ჭანებს მეორე ძვირფასი მხარე ხალხში მოძრავი, გამბედავი და ახალ-ახალის საქმის ხელის მკიდებელი ხასიათი დაჰბადა. ამის გამო ხალხი ღატაკი არ არის, პირიქით შემძლე და საკმაოდ მდიდარია...

ჭანები ხვნა-თესვას არ მისდევენ. პირუტყვს თითქმის სრულებით არ ინახავენ; ცხენსა და ძროხას ვერ ნახავთ, ურემს არ ატარებენ და მისვლა-მოსვლისთვის მარტო ნავები და სანდლები (ფელუკები) აქვთ, ყველას რამდენიმე...

ცხოვრების სახსარი ჭანებისა ვაჭრობა, სანდლების ქირა და ხუროობაა. მთელი ოსმალეთის საქართველოში, აგრეთვე გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში და ზემო ქართლში ხის სახლების მშენებელნი ისინი არიან. შავი ზღვის პირებზე, ფოთიდან სტამბოლამდე სანდლებით საქონლის მიტან- მოტანა მარტო ჭანების ხელთ არის...

ამის გარდა შავი ზღვის ნაპირს სამეგრელოდან მოყოლებული ტრაპიზონამდე და იმას იქით სინოპამდე ქალაქებში და სოფლებში სავაჭრო დუქნები აქვთ. დიდი ნაწილი მოვაჭრეთა გურიაში და თვით ოზურგეთში ჭანები არიან“. („ივერია“, 1877 წ. №23)

1877 წ. ჟურნალ „ივერიის“ 1877 წლის ნოემბერში დასტამბული სარედაქციო წერილებით – „ოსმალეთის საქართველო“. ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე (1837–1907 წ.წ.) მკითხველს მნიშვნელოვან ცნობებს აწვდის ლაზეთისა და ლაზების შესახებ. „ჭანეთში მინდვრის მუშაობაზე დედაკაცია და მამაკაცი კი ვაჭრობს... მოჰყავთ თამბაქო და ზეთის ხილი (ბრინჯს თესავენ მშრალზე, სიმინდს, ღომს და სხვა ბოსტნეულსაც. ი.თ.).

საერთოდ ხალხი ფრიად შრომისმოყვარეა. ზღვის პირას მცხოვრებნი უფრო ვაჭრობას მისდევენ. თავისი საკუთარი გემები და ნავები აქვთ და სხვადასხვა მოსავალი სავაჭროთ მიაქს სტამბოლსა და მარსელს. ზღვის პირას მოშორებულნი ხეობათა მცხოვრებნი ხვნა-თესვაზე და საქონლის მოშენებაზე არიან. ჭანები ძალიან მოვაჭრენი არიან, შორს დადიან. ხელოსნობაც იციან, ასე რომ, ხუროები იმათი განსაკუთრებით ბევრნი გამოდიან გურიას, იმერეთს და თვით ქართლს“ (1877 წ. -10)

ბათუმი ოსმალეთის პერიოდში ლაზისტანის სანჯაყის ადმინისტრაციულ ცენტრს

წარმოადგენდა.

ნ. ნიკოლაძე (გაზეთი „დროება“, 1873 წ. 15 იანვარი) გაზეთ „დროების“ 1873 წლის 15 იანვრის ნომერში დასტამბული წერილით, ავტორი ერთ-ერთ იქაურ ქართველს, ჩვენი საზოგადოების მიერ გამოვლენილი უყურადღებობისა და გულგრილი დამოკიდებულების გამო, საყვედურს ასე გამოახატვინებს: „თქვენ, ქართველები, არც კი ჰკითხულობთ ჩვენს ამბავს, არ იცით რა გაჭირვება გამოგვივლია და ახლაც როგორ შევიწროებულია თქვენი ძმები, თქვენი ერთი ხორცი და სისხლი! იქნება პირველად გესმის ჩემგან, რომ მათი გული თქვენთვის სიყვარულითა და ერთგულებითა სძგერს ნიადაგ“?

თქვენ შესაძლებელია არ იცოდეთ, რომ ოსმალოს ,,საქართველოს“ თქვენზედა აქვს სასოება და ცის ქვეშეთში თქვენს გარდა არავის შესცქერის თავის იმედათ? დიდებული და სამართლიანი განგება რათ ინებებს, რომ ჩვენი ბედი სამუდამოდ დააშოროს ერთმანეთს? რა დანაშაულობა აქვს ჩვენს ხალხს კაცობრიობის წინაშე, რომ ის ნიადაგ დათხრეშილი და მონობაში იქნეს? არა, ეს შეუძლებელია!“

(ივანე კერესელიძე, გაზეთი „დროება“, 1873 წ. 15 იანვარი – „სურათი ოსმალეთის საქართველოს ცხოვრებიდან“)

ვატიკანში დაცული „საეკლესიო ანალების მიხედვით; ,,იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს (98-117 წ.წ.) დროს მქადაგებელი პაპ. წმ. კლიმენტის (პაპობის წლები 88-97 წ.წ.)... შემწეობით მიიღო...რაც შეეხება ქვემო იბერებს, რომლებიც კავკასიის მთებთან, კასპიის ზღვის ახლოს ცხოვრობენ, თვლიან, რომ მათ ქრისტიანობა იმპერატორ კონსტანტინეს დროს მიიღეს“ (ი. ტაბაღუა, 1984, გვ. 171).

ბიზანტიელთა ხანგრძლივი ბატონობის მიუხედავად, ეგრისში (ლაზიკეში) არ ჩანს ბერძნული ენის გაბატონების და ეგრისელთა ცხოვრების წესის შეცვლის ფაქტები.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ჩვენი, ანუ იბერიული გენომის არსებობა კაცობრიობის გაჩენიდან ყველა პერიოდში არსებობდა, ეს მრავალი მეცნიერისა და სამეცნიერო-არქეოლოგიური არტეფაქტებით უტყუარად დადასტურებულია:

* პალეოლითის პერიოდი (7,000 წ. ჩვ. წ. აღ-მდე)
* ნეოლითის პერიოდი (7,000 – 5,000 წ. ჩვ. წ. აღ-მდე)
* ენეოლითის პერიოდი (5,000 – 3,000 წ. ჩვ. წ. აღ-მდე)
* ბრინჯაოს ხანა (3,000 – 1,200 წ. ჩვ. წ. აღ-მდე)
* ხეთები და ასირიელები (900 – 700 წ. ჩვ. წ. აღ-მდე)
* ფრიგიელები (750 – 600 წ. ჩვ. წ. აღ-მდე)
* სპარსელები (600 – 334 წ. ჩვ. წ. აღ-მდე)
* მაკედონელები (334 – 69 წ. ჩვ. წ. აღ-მდე)
* მაკედონელთა , გენერლები (69 – 72 წ. წელთ აღრიცხვით)
* რომაელები (72 – 39 წ. ჩვ. წ. აღ-მდე)
* ბიზანტია (395 – 670 წ. ჩვ. წ. აღრიცხვით)
* ომეიადები (არაბები) (670 – 758 წ. ჩვ. წ. აღრიცხვით)
* აბასიდები (758 – 926 წ. ჩვ. წ. აღრიცხვით)

* ჰამდანები (926 – 958 წ. ჩვ. წ. აღრიცხვით)
* ბიზანტიის იმპერია (958 – 1453 წ. ჩვ. წ. აღრიცხვით)
* ოსმალები (1453 წლიდან...)

About Zanet-Lazeti in the Georgian periodical press of the 19th-20th centuries

Y. Tandilava

Summary

The work disusses the topic of “Zaneti-Lazeti” in the Georgian periodical press of the 19th-20th centuries. There is also talk amout Chani-Laz ethnoculture, about their separation from the unifeid Georgian culture.